აპარატის შესახებ

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეული-საკრებულო აპარატი შექმნილია ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი ნორმის შესაბამისად. მისი ძირითადი ფუნქციაა საკრებულოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

საკრებულოს აპარატი საქმიანობას წარმართავს საკრებულოს მიერ დამტკიცებული აპარატის დებულების ,,საქმის წარმოების წესის დამტკიცების და უნიფიცირებული დოკუმენტების ცხრილის,, საკრებულოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული შინაგანაწესით.

საკრებულოს აპარატის ორგანიზებულ და კოორდინირებულ მუშაობას ხელმძღვანელობს საკრებულოს აპარატის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულოს თავმჯდომარე.